თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5513288

ნომერი: AR1833507

თარიღი : 22.06.2021

გაცემის თარიღი : 21.07.2021

გაცნობის თარიღი : 21.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოსრუაშვილი პ/ნ 01009011823
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 12 ბ. 58

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 22 ივნისს №AR1833507 განცხადებით მომართა ნინო ხოსრუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 25

ივნისის №4560016 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.17.002.022), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 25 ივნისიდან 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 1 აგვისტოს №4614613 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +14.70 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა 2019 წლის 5 ივლისის №AR1692178 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით. ასევე, ამავე ველში წარმოდგენილი +75.90 ნიშნულის გეგმა დაემატა სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებს.
სამსახურის 2020 წლის 23 დეკემბრის №5235898 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა გაგრძელდა 2022 წლის 23 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების PDF ფაილში გამორჩენილია +83.70 ნიშნულის გეგმა და ითხოვს აღნიშნული გეგმა დაემატოს შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. ასევე, განმცხადებელი ითხოვს ტქნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ საოფისე ფართობად 10704.5 კვ.მ-ის ნაცვლად 10547.7 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 6178.4 კვ.მ-ის ნაცვლად 6335.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა, ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ +7.80, +11.30 და +45.80 ნიშნულების გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება. სამსახურმა, ასევე დაადგინა, რომ საოფისე ფართობი შეადგენს 10547.77 კვ.მ-ს. ხოლო, საზაფხულო და საოფისე ფართობების ცვლილება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და შეადგენს 46451.63 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 10547.77 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 6335.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 46451.63 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანებით შეთანხმებული +7.80, +11.30 და +45.80 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით და ასევე, შეთანხმებულ გეგმებს დაემატოს გამორჩენილი +83.70 ნიშნულის გეგმა.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4560016 და 2019 წლის 1 აგვისტოს №4614613 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge